მე-8 კლასი

სავარჯიშო 1. მორფოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

1. თანდებული „ზე“ გამოიყენება:
   ა) მოქმედების მიმართულების აღსანიშნავად;
   ბ) საგანთა მდებარეობის აღსანიშნავად;
   გ) საგანთა მსგავსების აღსანიშნავად.
2. რომელ ბრუნვაში დგას პირის ნაცვალსახელი წინადადებაში: „თქვენ მხიარულობთ“?
   ა) სახელობითში; ბ) მოთხრობითში; გ) მიცემითში.
3. შემოხაზეთ თანდებულიანი სახელის მართებული ფორმა:
   ა) მერცხალსავით ჭიკჭიკებდა; ბ) მერცხალივით ჭიკჭიკებდა; გ) მერცხალისავით ჭიკჭიკებდა.
4. შემოხაზეთ წოდებითი ბრუნვის სწორი ფორმა:
   ა) სამშობლოვ ; ბ) სამშობლოო; გ) სამშობლონნი.
5. გვარის რომელი ფორმაა სწორად დაწერილი?
   ა) მატაბლის; ბ) მატაბელის; გ) მატაბელით.
6. რომელია სწორი ფორმა?
   ა) ერთსა და იგივეს; ბ) ერთისა და იგივესი; გ) ერთი და იგივე.
7. რომელია სწორი ფორმა?
   ა) თქვენს მიმართ; ბ) თქვენ მიმართ; გ) თქვენის მიმართ.
8. რომელია სწორი ფორმა?
   ა) რამდენიმემ გაიმარჯვა; ბ) რამოდენიმე დამარცხდა; გ) მათმა მიიპყრეს ჩვენი ყურადღება.
9. რამდენპირიანია უშუალო კონტაქტის გამომხატველი ზმნა „ავისრულე“?
   ა) ერთპირიანი; ბ) ორპირიანი; გ) სამპირიანი.
10. რომელია სწორი ფორმა?
   ა) ვალამაზებ; ბ) აკეთებდენ; გ) სდგას.

სავარჯიშო 2. სინტაქსი - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

11. რომელ ბრუნვაში დგას ქვემდებარე წინადადებაში? „ირტოზის მთიდან გადმოსულმა ლეკებმა მოიტაცეს დავით გურამიშვილი.“
   ა) მოთხრობითში; ბ) მოქმედებითში; გ) მიცემითში.
12. როგორია წინადადება შინაარსის მიხედვით? „რატომ დავივიწყეთ ჩვენი მოვალეობანი ერისა და ქვეყნის წინაშე?!“
   ა) თხრობითი; ბ) კითხვითი; გ) კითხვა-ძახილის.
13. რომელია სწორი ფორმა?
   ა) დედობილ-მამობილი ალერსით ხვდებიან ქალიშვილს;
   ბ) დედობილ-მამობილი ალერსით ხვდებოდნენ ქალიშვილს;
   გ) დედობილ-მამობილი ალერსით ხვდებოდა ქალიშვილს.
14. რა წევრია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში? „სწორი კვება ჯანსაღი ცხოვრების <u>საწინდარია.</u>“
   ა) ქვემდებარე; ბ) შედგენილი შემასმენელი; გ) დამატება.
15. რა წევრია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში? „<u>ქართული</u> ენა ლაზარეა ენათა შორის.“
   ა) ქვემდებარე; ბ) დამატება; გ) განსაზღვრება.
16. რომელია არასწორი შესიტყვება?
   ა) ფოთლები მოიბა; ბ) ბავშვები ჩასხა; გ) ქურდი მოკლა;
17. რომელია მართებული?
   ა) ერთსა და იმავე ამბავს; ბ) ერთი და იგივე ამბავს; გ) ერთი და იგივე ამბავმა.
18. რომელია არასწორი შესიტყვება?
   ა) ცარიელ კასრთან; ბ) დიდებულ საქმისთვის; გ) მწუხრის ზეწარმა.
19. რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?
   ა) „ქართული ენის დღეს ბევრი მოსწავლე შეიკრიბება დედაენის ძეგლთან.“
   ბ) „წინდაუხედაობამ მეტად დააზარალა თავმომწონე ბიჭი.“
   გ) „უამრავ გასართობ ცენტრებში დავდივართ საქველმოქმედო აქციაზე.“
20. რომელ წინადადებაშია სინტაქსური შეცდომა?
ა) „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ღირსეული საზოგადოება შეკრებილიყო, რათა აღენიშნათ საიუბილეო თარიღი.“
ბ) „დღევანდელმა ღონისძიებამ ყველა მნახველები აღაფრთოვანა.“
გ) „არაფერი ისე არ ამშვენებს კაცს, როგორ ღირსება.“

სავარჯიშო 3. ლექსიკა და ფრაზეოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

21. რას ნიშნავს სიტყვა: „კვიმატი“?
    ა) მავნე ჩვევის მქონეს; ბ) ბრაზიანს; გ) ენამოსწრებულს.
22. რას ნიშნავს სიტყვა: „თაკარა“?
    ა) თავთავს; ბ) მცხუნვარეს; გ) სუფთას.
23. რა არის „ზანდუკი“?
    ა) სახურავიანი დიდი ხის ყუთი ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლისთვის;
    ბ) კედელზე დასაკიდებელი ტანსაცმლისთვის;
    გ) მზისგან დასაცავი მოსახური.
24. რა არის „ვერანა“?
    ა) ველური ცხენი; ბ) უკაცრიელი, უდაბური; გ) სამხედრო ნაგებობა.
25. რას ნიშნავს სიტყვა: „დუბელა“?
    ა) დამდგარ წყალს, გუბეს; ბ) ადუღებულ წყალს; გ) გამდინარე წყალს.
26. რას ნიშნავს სიტყვა: „დელგმა“?
    ა) ნელ წვიმას; ბ) მზიან წვიმას; გ) კოკისპირულ წვიმას.
27. რას ნიშნავს სიტყვა: „გონჯი“?
    ა) დაბალს; ბ) უშნოს, ულამაზოს; გ) ძალიან მაღალს.
28. რას ნიშნავს გამოთქმა: „გუდა-ნაბადს აიკრავს“?
    ა)ზურგზე ტომარას მოიკიდებს; ბ) ნაბადს მოისხამს; გ) გაიქცევა, გადაიხვეწება.
29. რას ნიშნავს გამოთქმა: „გული ეთანაღრება“?
    ა) ეეჭვება; ბ) წუხს; გ) ტირის.
30. რას ნიშნავს გამოთქმა: „თვალს თვალში გაუყრის“?
    ა) წაეჩხუბება; ბ) უშიშრად შეხედავს; გ) ვერც კი შეხედავს.

სავარჯიშო 4. ლიტთეორია, მხატვრული ხერხები - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (10 ქულა)

31. რა არის იგავ-არაკი ?
    ა) ერთი პერსონაჟის თავგადასავალი;
    ბ) მცირე ზომის დამრიგებლობითი ხასიათის მოთხრობა;
    გ) დამრიგებლობითი ხასიათის პატარა ლექსი.
32. რა არის პოემა?
    ა)თხრობითი ხასიათის ნაწარმოები; ბ) მოკლე ლექსი; გ) ლექსად თქმული გრძელი ამბავი.
33. რა არის ბიოგრაფია?
    ა) ვისიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა; ბ) საკუთარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა;
    გ) მწერლის ოჯახზე საუბარი.
34. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში: „ვით კატასა, ვხოცდი ლომსა“?
    ა) ეპითეტი; ბ) შედარება; გ) გაპიროვნება.
35. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში: „კუდამოძუებული ბიჭები სასწრაფოდ გაშორდნენ იქაურობას.“
    ა) ეპითეტი; ბ) შედარება; გ) გაპიროვნება.

ლიდერი კომპანიების შეკითხვები მომავალ ლიდერებს:

ბონუს დავალება - შემოხაზეთ სწორი პასუხი (10 ქულა)

1. **“ლიბერთის” კითხვა:**
   დედამ თქვა, რომ „ლიბერთი ბანკის“ ფილიალები ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუშაობენ.“
   წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა არის:
   ა) საზოგადო არსებითი სახელი ბ) საკუთარი არსებითი სახელი გ) კრებითი სახელი
2. **“ბიუ-ბიუს” კითხვა**
   „ბიუ-ბიუს“ ქათმები ქართულ მიწაზე მოყვანილი სიმინდით და ხორბლით იკვებებიან.
   რომელ ბრუნვაში დგას წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა?
   ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში

{ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალების ქულა ძირითადი დავალების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.}